ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№–81
(გაერთიანებული ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან)

ქ. თბილისი; 19 მარტი; 2021 წ. 12:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე
ნინო რუხაძე
ქეთევან მამულაშვილი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი – **ირაკლი თავართქილაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსი – **მარიამ კვერნაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტი – **მარიამ ჩივაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე – **დავით ჯაიანი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე – **ოთარ ჩიტიძე**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტები.**

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე **“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსდადგენილების პროექტი.**

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ერმილე ნიკოლაიშვილს (პ/ნ: 01008005123) შორის 2015 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის N0-287-13-16084 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების** პროექტი.

5. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე 1333 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.01.19.422) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე”**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების** პროექტი.

6. “ქ. თბილისში, მიროტაძის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (ს/კ: 01.10.13.033.928; 01.10.13.033.937) გაცვლისფორმითპრივატიზებისსაკითხის შეთანხმების თაობაზე”ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

7. “ქალაქ თბილისში, მეგობრობის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.071.01.511) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების** პროექტი.

8. "ქალაქ თბილისში, გუმათჰესის ქუჩა კორპუს N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.008.003.01.514) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

9. "ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, აკაკი ხორავას ქუჩა N13-17/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.048.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

10. „ქალაქ თბილისში, რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.125.01.501 და N01.13.07.021.125.01.525) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

11. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა, N22-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.073.01.001)მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

12. „ქალაქ თბილისში, უშანგი (შმაგი) სოფრომაძის I შესახვევი, N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

13. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა, N22-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.073.01.001)მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

14. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ქუჩა მირზა გელოვანი, ჩიხი V, N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.016.01.001)მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების **თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

15. „ქალაქ თბილისში, რქაწითელის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.015.086.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

16. „ქალაქ თბილისში, რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.125)მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

17. „ქალაქ თბილისში, საყვირის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.024.165.02.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

18. „ქალაქ თბილისში,საინგილოს ქუჩა N120-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.072) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს** განკარგულების პროექტი.

19. „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის" (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 თებერვლისN57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

20. „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრო/რაიონში (ს/კ: N01.11.12.002.061.01.502) მდებარე 181.13 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია"-სთვის (ს/კ: 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 8 ნოემბრის N375 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

21. „ქ. თბილისში, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N33/პავლე ასლანიდის ქ. N40 (ყოფილი ქუჩა აკური, N 33, ქუჩა ალმასიანი N40, N42, N44, N46. (ნაკვეთი N35/31) (საკადასტრო კოდი: N01.10.13.035.053) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შუქრი კაკაურიძის (პ/ნ 01019009108) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136

დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ – დავით ჯაიანმა,** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებით დამტკიცებულ დანართებში ცვლილებას, ახალი რედაქციით ჩამოყალიბების მიზნით.

მომხსენებელმა დეტალურად ისაუბრა პროექტის გამომწვევ შემდეგ ღონისძიებებზე:

- ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში 2020 წლის პირველი ოქტომბრის №64-107 დადგენილებით შეტანილი ცვლილებით,**სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფისა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში დაინერგა სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემა** (შემდგომში - ინტეგრირებული სისტემა), რომელიც ითვალისწინებს,მისი ფუნქციონირებისას, ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის შესაბამის ვალდებულებებს, ასევე, ინტეგრირებული სისტემის დანერგვისათვის გასატარებელ ღონისძიებებს;
- ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებით დამტკიცებული წესის 18[1] მუხლის პირველი პუნქტით განისაზღვრა, რომ **ქალაქ თბილისის საკრებულო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის** მთავრობის **წარდგინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრავს სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩასართავი ავტობუსების მარშრუტებს.**

მომხსენებელმა დასძინა, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში განხორციელებულ იქნა შესაბამისი ცვლილებები და **მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, დღის წესრიგში დადგა დადგენილებაში დამატებითი ცვლილებების შეტანის აუცილებლობა, შესაბამისად, მომზადდა** წარმოდგენილი **პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, შესაბამისი კორექტივების** შეტანას,დადგენილების პირველი პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით დამტკიცებულ:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტებში (დანართი 1);

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტებსა (დანართი 2) და მათ განრიგში (დანართი 3).

ბატონმა დავით ჯაიანმა კომისიის წევრებს დაწვრილებით გააცნო წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესაბამისად განსაზღვრული ცვლილებები:

- **დანართი 1-დან ხდება ავტობუსების №55 დაN140 მარშრუტების ამოღება,რაც გამოწვეულია მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით** დანართი 2-ში გათვალისწინებული მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსების (M3 კატეგორია) №301 მარშრუტში ცვლილების შეტანით, კერძოდ, მარშრუტი: ა) გაგრძელდა ემირ ბურჯანაძის ქუჩის მიმართულებით; ბ) თავისუფლების მოედანზე ხვდება ევროპის მოედნის, მარცხენა სანაპიროს, ნიკოლოზ ბარათაშვილის ხიდის და ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩის გავლით, ნაცვლად კოტე აფხაზის ქუჩისა; გ) პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე ხვდება პეტრე ქავთარაძის ქუჩის გავლით, ნაცვლად ვაჟა ფშაველას გამზირისა და ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩისა. აღნიშნული ცვლილებით სრულად გადაიფარა ავტობუსების (M3 კატეგორია) №55 და №140 მარშრუტები.
- **აგრეთვე დადგენილებას, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩასართავად, ემატება №345 და №346 მარშრუტები,** რომლებიც ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის 13 ნოემბრის №20.1351.1671 განკარგულებით, დროებითი ღონისძიების სახით, არიან ჩართული სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში;
- **№345 მარშრუტში შედის ცვლილებები,** კერძოდ: მარშრუტის მოძრაობა თავისუფლების მოედნის მიმართულებით განხორციელდება ევროპის მოედნის, მარცხენა სანაპიროს, ნიკოლოზ ბარათაშვილის ხიდის და ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩის გავლით, ნაცვლად კოტე აფხაზის ქუჩისა, რითაც სრულად გადაიფარება №61 მარშრუტი და აღნიშნულიდან გამომდინარე №61 მარშრუტია ამოღებულია დადგენილების დანართი 1-დან.
- **რაც შეეხება №346 მარშრუტს,** იგი რჩება ქალაქ თბილისისმთავრობის 2020 წლის 13 ნოემბრის №20.1351.1671 განკარგულებაში ასახული სახით.
- გლდანის რაიონში, ომარ ხიზანიშვილის და ილია ვეკუას ქუჩებზე ავტობუსების მოძრაობისთვის სპეციალური ზოლების დატანისა და მოძრაობის ორგანიზების ცვლილებიდან გამომდინარე, **ცვლილებები შედის ავტობუსების (M3 კატეგორია) №№23,24,33,45,73,108 მარშრუტებში,** სადაც მ/ს „ახმეტელის თეატრის" მიმდებარე ტერიტორიაზე შესვლა განხორციელდება ომარ ხიზანიშვილის ქუჩით, ნაცვლად ილია ვეკუას ქუჩისა, ასევე გლდანის დასახლებიდან, მ/ს „ახმეტელის თეატრის" მიმართულებით მოძრაობა განხორციელდება ილია ვეკუას ქუჩით, ნაცვლად ომარ ხიზანიშვილის ქუჩისა, ხოლო,**ავტობუსების (M3 კატეგორია) №32 და №51 მარშრუტებზე გათვალისწინებულია**

ავტობუსების მოძრაობა მ/ს „ახმეტელის თეატრის“ მიმართულებით ქერჩის, აკაკი ვასაძის და ომარ ხიზანიშვილის ქუჩების გავლით, ნაცვლად თენგიზ შეშელიძის ქუჩისა;

- **ცვლილებები შედის ავტობუსების (M3 კატეგორია) №№6,20,32,43,72,94 მარშრუტებში,** სადაც დამატებით განისაზღვრება დიდი ტევადობის მოძრავი შემადგენლობის ჩართვის შემთხვევაში ავტობუსების საჭირო რაოდენობები;
- №52 მარშრუტზე მაქსიმალური რაოდენობა იზრდება ერთი ერთეულით.№70 მარშრუტის გაგრძელდება ნიკო ფიროსმანის მოედნამდე, რაც ასახულია დანართ 1-ში.

მოხსენების მიწურულს, **დავით ჯაიანმა აღნიშნა, რომ** ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, **შესაბამისი დანართები დადგენილ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ, 2021 წლის 12 მარტის №21.297.341 განკარგულებით,** რაც დასამტკიცებლად წარმოედგინა საკრებულოს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ აღნიშნა, რომ პროექტის მიღება გამოიწვევს დამატებითი საბიუჯეტო სახსრების გაღებას, ხოლო დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ – **დავით ჯაიანმა,** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს, გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბატონ დავით ჯაიანის მითითებით, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებებით, სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფისა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში დაინერგა სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემა, რაც ითვალისწინებს მისი ფუნქციონირებისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის შესაბამის ვალდებულებებს და ინტეგრირებული სისტემის დანერგვისათვის გასატარებელ ღონისძიებებს, ხოლო დადგენილებით დამტკიცებული წესის 18[1] მუხლის პირველი პუნქტით

განისაზღვრა, რომ ქალაქ თბილისის საკრებულო, ქალაქ თბილისის მთავრობის წარდგინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრავს სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემაში ჩასართავი ავტობუსების მარშრუტებს.

მომხსენებლის განმარტებით, მომზადებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, შესაბამისი კორექტივების შეტანას, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების პირველი პუნქტის "ა" და „ბ" ქვეპუნქტებით დამტკიცებულ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტებში (დანართი 1) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტებსა (დანართი 2) და მათ განრიგში (დანართი 3), **უფრო დეტალურად კი:**

- **დადგენილების პროექტის დანართ 2-ში ასახული ახალი 31-ვე მარშრუტი, დროებითი ღონისძიების სახით, ჩართულია სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში,** მათ შორის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 13 ნოემბრის №20.1351.1671 განკარგულებით - ლოტ №5-ზე 409, 410 და 411 მარშრუტები, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 22 თებერვლის №21.195.231 განკარგულებით - ლოტ №1-ზე 437, 479 და 496 მარშრუტები, ლოტ №2-ზე 414, 459 მარშრუტები, ლოტ №3-ზე 436, 448, 504, 576, 583 მარშრუტები, ლოტ №4-ზე 425, 426, 429, 444, 445, 453,480,486, 508, 509, 510, 511 მარშრუტები, ხოლო ლოტ №5-ზე 413, 420, 423, 424, 524, 582 მარშრუტები;
- **ლოტი №1** - დადგენილების ამჟამად მოქმედი რედაქციით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში (დანართი 2) 10 მარშრუტზე ჩართულია 48 ერთეული ავტობუსი, ხოლო წარმოდგენილი **პროექტი ითვალისწინებს 13 მარშრუტზე 68 ერთეული ავტობუსის ჩართვას.** ახალი მარშრუტებია: №№437, 479, 496. აღნიშნული იწვევს დადგენილების დანართ 1-ში ავტობუსების რაოდენობის 20 ერთეულით შემცირებას, თუმცა მარშრუტების რაოდენობაში ცვლილება არ შედის;
- **ლოტი №2** - დადგენილების ამჟამად მოქმედი რედაქციით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში (დანართი 2) 3 მარშრუტზე ჩართულია 37 ერთეული ავტობუსი, ხოლო წარმოდგენილი **პროექტი ითვალისწინებს 5 მარშრუტზე 43 ერთეული ავტობუსის ჩართვას.** ახალი მარშრუტებია: №№414, 459. აღნიშნული იწვევს დადგენილების დანართ 1-ში ავტობუსების რაოდენობის 6 ერთეულით შემცირებას, თუმცა მარშრუტების რაოდენობაში ცვლილება არ შედის;
- **ლოტი №3** - დადგენილების ამჟამად მოქმედი რედაქციით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში (დანართი 2) ავტობუსები ჩართული არ არის, ხოლო წარმოდგენილი **პროექტი ითვალისწინებს 5 მარშრუტზე (№№436, 448, 504, 576, 583) 44 ერთეული ავტობუსის ჩართვას.** აღნიშნული იწვევს დადგენილების დანართ 1-ში ავტობუსების რაოდენობის 44 ერთეულით შემცირებას და სამი მარშრუტის (№№36, 59, 204) გაუქმებას;

- **ლოტი №4** - დადგენილების ამჟამად მოქმედი რედაქციით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში (დანართი 2) ავტობუსები ჩართული არ არის, ხოლო წარმოდგენილი **პროექტი ითვალისწინებს 12 მარშრუტზე (№№425, 426, 429, 444, 445, 453, 480, 486, 508, 509, 510, 511) 79 ერთეული ავტობუსის ჩართვას.** აღნიშნული იწვევს დადგენილების დანართ 1-ში ავტობუსების რაოდენობის 79 ერთეულით შემცირებას და 15 მარშრუტის (№№8, 9, 14, 29, 37, 45, 86, 96, 144, 153, 180, 210, 211, 225, 226) გაუქმებას;
- **ლოტი №5** - დადგენილების ამჟამად მოქმედი რედაქციით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში (დანართი 2) ერთ მარშრუტზე ჩართულია 15 ერთეული ავტობუსი, ხოლო წარმოდგენილი **პროექტი ითვალისწინებს 10 მარშრუტზე 66 ერთეული ავტობუსის ჩართვას.** ახალი მარშრუტებია: №№409, 410, 411, 413, 420, 423, 424, 524, 582. აღნიშნული იწვევს დადგენილების დანართ 1-ში ავტობუსების რაოდენობის 66 ერთეულით შემცირებას და 9 მარშრუტის (№№1, 20, 24, 76, 79, 82, 83, 223, 224) გაუქმებას.

მომხსენებელმა დასძინა, რომ, ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, შესაბამისი დანართები დადგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ **2021 წლის 12 მარტის №21.297.340 განკარგულებით,** რაც დასამტკიცებლად წარმოედგინა საკრებულოს, შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების პირველი პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 **წლის 12 მარტის №21.297.340 განკარგულების პირველი პუნქტის „ა“** ქვეპუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტები, დანართი 1-ის შესაბამისად;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 **წლის 12 მარტის №21.297.340 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“** ქვეპუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტები, დანართი 2-ის და მათი განრიგი, დანართი 3-ის შესაბამისად.“

მოხსენების მიწურულს, ბატონმა დავითმა დაამატა, რომ დადგენილებისამოქმედება **არ მოახდენს** ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო, პროექტი დამტკიცების შემთხვევაში **ამოქმედდება** გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ – ოთარ ჩიტიძემ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მერის მიერ **№12-032107130-03 და №12-032107745-03 წერილებით წარმოდგენილი,** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების პროექტები.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ, 2021 წლის 11 მარტის N21.285.329 განკარგულებით, მოწონებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას.

ბატონმა ოთარ ჩიტიძემ ისაუბრა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული **განაშენიანების რეგულირების** წესების მე-40 **მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტებით განსაზღვრულ საკითხებზე,** რომლებიც ითვალისწინებს, ამ პუნქტების ამოქმედებამდე დამტკიცებული გეგმარებითი დავალების/განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე შემდეგი ეტაპის პროექტების შეთანხმების 2 წლიან ვადებს (ამ პუნქტის ამოქმედებიდან), ხოლო, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, კერძოდ, 2021 წლის 21 მარტიდან, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებები/განაშენიანების რეგულირების გეგმები ცხადდებოდა ძალადაკარგულად.

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ, ვინაიდან,ზემომითითებული დროის მონაკვეთი არ აღმოჩნდა საკმარისი დრო მთელი რიგი პროექტების განსახორციელებლად, **სამშენებლო საქმიანობისთვის** მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან **აცილების მიზნით, ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნიაპროექტების შესათანხმებელი პერიოდის გაგრძელება არაუგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბრამდე** და შესაბამისად,**დადგენილებით დამტკიცებული** წესების მე-40 **მუხლის** მე-10 და მე-11 **პუნქტების შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბება:**

„10. 2019 წლის 20 მარტამდე დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საფუძველზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება

უნდა მოხდეს არაუგვიანეს **2021 წლის 31 დეკემბრისა.** იმ შემთხვევაში, თუ ამ ვადაში არ იქნება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმა, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება მიიჩნევა ძალადაკარგულად.

11. 2019 წლის 20 მარტამდე დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მოქმედების ვადაა 5 წელი, რომლის საფუძველზეც დაინტერესებული პირი ვალდებულია შეათანხმოს არქიტექტურული პროექტი არაუგვიანეს **2021 წლის 31 დეკემბრისა.** იმ შემთხვევაში, თუ ამ ვადაში არ მოხდა არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, განაშენიანების რეგულირების გეგმა მიიჩნევა ძალადაკარგულად."

ბატონმა ოთარ ჩიტიძემ ასევე წარმოადგინა მომდევნო დადგენილების პროექტი, რაც ასევე მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, **2021 წლის 17 მარტის N21.327.373 განკარგულებით** და ითვალისწინებს, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესებ-ში შემდეგი სახის ცვლილებების განხორციელებას:

- **იცვლება მე-16 მუხლის „ტ" ქვეპუნქტი,** რომლითაც განსაზღვრულია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3) რეგლამენტი. წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, სსზ-3-ში ძირითადი დასაშვები სახეობა ხდება საოფისე შენობა-ნაგებობა, ხოლო რესტორნის განთავსება შესაძლებელი ხდება როგორც საგამონაკლისო სახეობა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე.
- **ცვლილებები ხორციელდება განაშენიანების რეგულირების წესების 37-ე მუხლის მე-6 პუნქტშიც.** კერძოდ, არსებული რედაქციით ღობის მოწყობა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით დასაშვები იყო იმ მიწის ნაკვეთებზე, რომელიც მდებარეობს სატყეო ზონისა და საცხოვრებელი ზონის მოქმედების არეალში.
- ცვლილებების ფარგლები **იზრდება** და ღობის მოწყობა **დასაშვები ხდება** იმგვარ მიწის ნაკვეთებზეც, რომელიც მდებარეობს საცხოვრებელ ზონასთან ერთად სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ან ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოქმედების არეალში. თუმცა, კვლავ გათვალისწინებულ უნდა იქნეს განაშენიანების რეგულირების წესების 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის მოთხოვნები: ,,სამშენებლო მიწის ნაკვეთის შემოღობვა დასაშვებია არაუმეტეს 2,2 მეტრი სიმაღლის ღობით, ამასთან ღობის ყრუ ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს გრუნტის ზედაპირიდან 1,8 მეტრს.''

მოხსენების დასასრულს, ოთარ ჩიტიძემ დაამატა, რომ დადგენილებების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას და არ მოახდენს გავლენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დამტკიცებული გეგმარებითი დავალებების/განაშენიანების რეგულირების გეგმების უვადო ხასიათი დამაზიანებელი იყო დედაქალაქის ქალაქმშენებლობითი და ურბანული დაგეგმარებისთვის, რადგან წლების განმავლობაში გამოუყენებელი გეგმარებითი დავალებები და გრგ ვეღარ ჯდება საერთო კონტექსტში და იწვევს ქაოსურ განაშენიანებას, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ გონივრულ ვადით იყოს შემოსაზღვრული.

კომისიის თავმჯდომარის ლევან ჟორჟოლიანის მოსაზრებით, ვინაიდან №12-032107130-03 და №12-032107745-03 წერილებით წარმოდგენილია „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების ორი პროექტი, მიზანშეწონილია მომზადებულ იქნას ქალაქ თბილისის საკრებულოს ერთი დადგენილების პროექტი, რომელშიც სრულად იქნება გათვალისწინებული ორივე დადგენილების პროექტით წარმოდგენილი ცვლილებები.

ბატონმა ლევანმა ასევე დაამატა, რომ მიზანშეწონილია, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა – **ირაკლი თავართქილაძემ,** კომისიათაგაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ერმილე ნიკოლაიშვილს (პ/ნ: 01008005123) შორის 2015 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-287-13-16084 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ბატონ ირაკლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ერმილე ნიკოლაიშვილს შორის 2015 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული

აუქციონის №-287-13-16084 ხელშეკრულების „ბ“ პუნქტის ცვლილების თაობაზე საკითხზე თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო საკითხთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გარემოებანი და მიუთითა შემდეგი:

- სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და **ერმილე ნიკოლაიშვილს** შორის 2015 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული №-287-13-16084 ხელშეკრულების საფუძველზე, მყიდველს აუქციონის წესით, საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, სოფელი ლისი, „ბურღების მიწა“ 376 კვმ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 72.16.18.850) და **ხელშეკრულების "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, აუქციონის პირობად განისაზღვრა შეზღუდვა: „დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე“ (შემდგომში - „შეზღუდვა“);**
- აუქციონის შესაბამისად, შეძენილი უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა 7746 ლარი. მოქალაქე ერმილე ნიკოლაიშვილის მიერ, აღნიშნული ფინანსური ვალდებულების შესრულება დასტურდება სააგენტოს მიერ გაცემული 2015 წლის 31 დეკემბრის **N4012საკუთრების** მოწმობით;
- 2017 წლის 29 აგვისტოს მოქალაქე თამარ მოსიაშვილმა განცხადებით მიმართა სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობის მშენებლობისთვის ნებართვის გაცემა, რის პასუხადაც, სამსახურმა განმცხადებელს დაუდგინა ხარვეზი და დაავალა: სიტუაციური გეგმის საფუძველზე შესრულებული გენგეგმის წარდგენა საპროექტო ღობის დატანით და გაბარიტული ზომების მითითებით, ამასთან, სამსახურმა გამოარკვია, რომ ვინაიდან საპროექტო ღობის შიგნით ექცეოდა მიწის ნაკვეთზე არსებული ხაზოვანი ნაგებობის კონსტრუქცია (ელ გადამცემი ბოძი), მოქალაქეს უნდა წარედგინა მესაკუთრის თანხმობა ღობის მოწყობასთან დაკავშირებით, ასევე, მიწის ნაკვეთზე ს/კ-ით 72.16.18.850 ფიქსირდებოდა შეზღუდვა დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე და საჭირო იყო აღნიშნული შეზღუდვის მოხსნა და საჯარო რეესტრიდან ამონაწერის განახლება;
- მყიდველმა, 2017 წლის 27 დეკემბერსგანცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და მოითხოვა შეზღუდვის მოხსნა, ხოლო, სააგენტოს მიერ გაიცა **უარყოფითი** რეკომენდაცია, იმ მიზეზით, რომ N72.16.18.850 საკადასტრო ერთეული არ იყო გაერთიანებული მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან;
- გასხვისებული უძრავი ქონების დანიშნულება საჯარო რეესტრის ამონაწერის **თანახმად** განსაზღვრულია, როგორც არასასოფლო-სამეურნეო, ხოლო მის მომიჯნავედ მდებარე საკადასტრო ერთეულები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა. წინამდებარე მიზეზის გამო დაინტერესებულმა მხარემ ვერ მოახერხა 72.16.18.850 საკადასტრო ერთეულის მომიჯნავე, მის საკუთრებაში არსებულ ერთეულებთან გაერთიანება.

ირაკლი თავართქილაძემ ასევე მიუთითა, რომაგრეთვე, მოქალაქე ერმილე ნიკოლაიშვილმა, 2018 წლის 6 მარტს, განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა აუქციონით გადაცემული ქონების მომიჯნავედ მის საკუთრებაში არსებული,

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე,მდებარე: თბილისი, სოფელი ლისი, „ბურღების მიწა", თუმცა **უარი ეთქვა** მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე **იმ საფუძვლით, რომ** კანონმდებლობა არ ითვალისწინებს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შეცვლას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით.

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და აღნიშნა, რომ ერმილე ნიკოლაიშვილმა განცხადებით მიმართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა მის საკუთრებაში არსებულ N72.16.18.850 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე **შეზღუდვის გაუქმება** იმგვარად, რომ მისცემოდა უფლება, მოეხდინა 4 მ-მდე სიმაღლის ღობის მშენებლობა ამ მიწის ნაკვეთის დასავლეთის მხარეს, სადაც გვერდის ზომა შეადგენდა 8.4 მეტრს.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა შემდეგ გარემოებებთან დაკავშირებით:

- ერმილე ნიკოლაიშვილმა 2018 წლის 04 მაისს კვლავ მიმართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა N72.16.18.850 საკადასტრო ერთეული გათავისუფლებულიყო შეზღუდვისაგან, რათა მას განეხორციელებინა ღობის მშენებლობა მიწის ნაკვეთის დასავლეთ მხარეს. აღნიშნული მოთხოვნა სააგენტომ **კვლავაც არ დააკმაყოფილა** და განემარტა, რომ არასასოფლო დანიშნულების მქონე N72.16.18.850 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებთან გაერთიანების მიზნით, 2015 წლის 30 ნოემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შესასრულებლად, მომიჯნავე მიწის ნაკვეთების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების კატეგორიის შესაცვლელად, უნდა მიემართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის.
- ვინაიდან სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და მოქალაქე ერმილე ნიკოლაიშვილს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში აუქციონის პირობად განსაზღვრული იყო შეზღუდვა და მოქალაქეს შემდგომ უარი ეთქვა მოცემული შეზღუდვის მოხსნაზე, აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობდა სასამართლო დავა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, ხოლო, სასამართლოს 2019 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით **ბათილად იქნა ცნობილი** სსიპ ქონების მართვის სააგენტოს გადაწყვეტილება შეზღუდვის მოხსნაზე უარის თქმის თაობაზე, ამასთან. სააგენტოს დაევალა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ერთი თვის ვადაში, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;
- აღნიშნული მოქალაქ მის თავდაპირველ განაცხადში და სასამართლოში წარდგენილ სარჩელში აღნიშნავდა, რომ სურდა ქ. თბილისში, სოფელი ლისი, „ბურღების მიწის" ტერიტორიაზე მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე აეშენებინა ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი და დარჩენილი ტერიტორია გამოიყენებინა ბაღის მოწყობის მიზნით. ამ მიზნით, მან მიმართა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, რომელმაც თავის მხრივ, პროექტის განსახორციელებლად განმცხადებელს

მოსთხოვა გადაცემულ მიწის ნაკვეთზე არსებული შეზღუდვის მოხსნა. განმცხადებელმა, ასევე აღნიშნა, რომ დარეგისტრირებული შეზღუდვა მას არ აძლევდა შესაძლებლობას, პრივატიზებულ ქონებაზე მოეწყო რაიმე სახის ინფრასტრუქტურა და აეღო ღობის მშენებლობისთვის აუცილებელი ნებართვა.

ირაკლი თავართქილაძემ მიუთითა, რომ მყიდველმა 2020 წლის 30 ნოემბერის განცხადებით მიმართა სააგენტოს და დამატებით განმარტა, რომ მის **საკუთრებაში არის სამი ერთმანეთის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთი** (ს/კ: 72.16.18.850, ს/კ: 72.16.18.758, ს/კ: 72.16.18.718). ამათგან **N72.16.18.850** საკადასტრო ერთეული, რომელიც შემენილია სსიპ ქონების მართვის სააგენტოსგან მდებარეობს დანარჩენ ორ მიწის ნაკვეთს შორის, ამასთან, დღეის მდგომარეობით, ზემოთ აღნიშნული ნაკვეთების მიმართ, მყიდველს და სხვა მომიჯნავე მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების ერთობლივი განცხადების საფუძველზე, **დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა**, მხოლოდ იმ რეკომენდაციის გათვალისწინებით, რომ მოიხსნებოდა პრივატიზებულ ქონებაზე რეგისტრირებული შეზღუდვა, რაც მყიდველის განმარტებით, ხელისშემშლელ გარემოებას წარმოადგენს N72.16.18.850 საკადასტრო ერთეულის შემომსაზღვრელი 4 მ-მდე სიმაღლის ღობის მოსაწყობად და მოქალაქისვე განცხადებით, N72.16.18.850 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ნაკვეთზე, ღობის მშენებლობაზე უფლება ესაჭიროებოდა მხოლოდ მიწის ნაკვეთის დასავლეთ მხარეს, სადაც გვერდის ზომა არის 8,4 მ., რადგან, დარჩენილ ორ მხარეს მყიდველის კუთვნილი სხვა ნაკვეთები ესაზღვრება, ხოლო მესამე მხარეს მეზობლის მიერ ხდება ღობის მოწყობა.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს შესაძლებლად მიაჩნია N72.16.18.850 საკადასტრო ერთეულზე მითითებული ვალდებულების – „დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე" მოხსნა, ამასთან, სამსახური განმარტავს, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე (მათ შორის 72.16.18.850 საკადასტრო ერთეულზე) 2017 წლის 28 აპრილის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N117 განკარგულებით დამტკიცდა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ ზემო ლისში ,,ბურღის მიწა,, ქვემო ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, შესაბამისად, მოცემული საკადასტრო ერთეულის სამშენებლოდ განვითარება უნდა განხორციელდეს აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) ფარგლებში.

ბატონ ირაკლის მითითებით, დაინტერესებულ პირს ეცნობა,ურბანული სამსახურის ზემოაღნიშნული პოზიცია და ის საკითხიც, რომ რომ N72.16.18.850 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ღირებულება შეფასდა და შემდგომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ გამოცხადებულ N287 საჯარო აუქციონზე განიკარგა განსაზღვრული მიზნობრიობით/ვალდებულებით, ამასთან, დასძინა, რომ ვინაიდან, მოქალაქე ერმილე ნიკოლაიშვილის მიერ მოთხოვნილმა ცვლილებამ შესაძლოა გააუმჯობესოს, როგორც ქონების ღირებულება, ასევე, მყიდველის ანუ მოქალაქე ერმილე ნიკოლაიშვილის მდგომარეობა,

შემდგომი განხილვის მიზნით, მესაკუთრეს დაევალა საექსპერტო/აუდიტორულ დასკვნის წარდგენა, რომელიც ასახავდა მყიდველის მიერ აუქციონზე შეძენილი N72.16.18.850 საკადასტრო ერთეულის სრულ საპრივატიზებო ღირებულებასა (7,746 ლარი) და აუქციონის დროისათვის ამავე მიწის ნაკვეთზე შემდეგი შეზღუდვით - „განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად; მხოლოდ ღობის მშენებლობის უფლებით" დადგენილ ღირებულებებს **შორის სხვაობას**, მოცემული დღევანდელი მდგომარეობით.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, 2015 წლის 20 ნოემბრის მდგომარეობით, მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება აუქციონზე გათვალისწინებული შეზღუდვის გარეშე და „ღობის მშენებლობის მიზნით, სამშენებლოდ განვითარება განხორციელდება განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) ფარგლებში" პირობით, შეადგენს 9,295 ლარს, ასევე, დადგინდა, რომ 2015 წლის 20 ნოემბრის მდგომარეობით მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებასა და საპრივატიზებო ღირებულებებს შორის სხვაობის, კერძოდ 1,549 ლარის, 2021 წლის 22 იანვრის მდგომარეობით ღირებულება შეადგენს 3,346 ლარს.
- **ერმილე ნიკოლაიშვილი, წარდგენილი განცხადებით, თანახმაა გადაიხადოს** სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიურის დასკვნით დადგენილი, 3,346 ლარის ოდენობით ფასთა შორის სხვაობა, თუკი ქალაქ თბილისის მთავრობის წარდგინებით, ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ განხორციელდება მიწის ნაკვეთზე არსებული შეზღუდვა - „დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე" ჩანაცვლება შეზღუდვით - „განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად; მხოლოდ ღობის მშენებლობის უფლებით" **და ადასტურებს**, რომ მას არსებული შეზღუდვის ზემოაღნიშნული ფორმით ცვლილების შემთხვევაში აღარ აქვს და არც მომავალში აღარ წარმოეშობა პრეტენზია ან/და რაიმე სახის მოთხოვნის უფლება ამ მიწის ნაკვეთზე დარეგისტრირებულ შეზღუდვასთან დაკავშირებით, მათ შორის, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29 იანვრის გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით.

ირაკლი თავართქილაძემ შემაჯამებლი სახით მიუთითა, რომქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ერმილე ნიკოლაიშვილს შორის 2015 წლის 30 ნოემბერს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების „ბ" პუნქტით გათვალისწინებული პირობის შეცვლის საკითხის, **კერძოდ, ნაცვლად არსებული პირობისა („შეზღუდვა - დარეგისტრირებულიკონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე") აუქციონის პირობად განისაზღვროს: „განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად;** მხოლოდ ღობის მშენებლობის უფლებით", იმ პირობით, რომ ერმილე ნიკოლაიშვილი ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში გადაიხდის სსიპ - ლევან სამხარაულის

სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 22 იანვრის N000354921 ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით დადგენილ ფასთა შორის სხვაობას, 3346 ლარის ოდენობით.

მომხსენებელმა ასევე დაამატა, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში სსიპ ქონების მართვის სააგენტო უზრუნველყოფს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, 2015 წლის 20 ნოემბრის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმში (ადმინისტრაციული დაპირება), ხელშეკრულებასა და საკუთრების დამადასტურებელ მოწმობაში ცვლილების შეტანას, ხოლო, ზემოაღნიშნული ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, დაინტერესებულ მხარეს უფლება ექნება ტერიტორიაზე განათავსოს მხოლოდ ღობე, ხოლო, იმ შემთხვევაში თუ იგი N72.16.18.850 საკადასტრო ერთეულს გააერთიანებს მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან, პრივატიზებული ობიექტი სრულად გათავისუფლდება შეზღუდვისაგან.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა მიზანშეწონილად მიიჩნია, განკარგულების პროექტის სათაურის რედაქტირება, შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების მიზნით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებს შესთავაზა, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-5 საკითხის განხილვის გადადება, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების უკეთ შესწავლის მიზნით. თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა იმსჯელეს და ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-5 საკითხის განხილვის გადადებასთან დაკავშირებით.

მოისმინეს:

6. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა ირაკლი თავართქილაძემ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-6 საკითხად წარმოადგინა, "ქ. თბილისში, მიროტაძის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (ს/კ: 01.10.13.033.928; 01.10.13.033.937) გაცვლის ფორმით

პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მიროტაძის ქუჩის მიმდებარედ არსებული **136 კვ.მ. და 129 კვ.მ.** მიწის ნაკვეთები იცვლება, აღნიშნული ქუჩის მაცხოვრებლების საკუთრებაში/თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონებაში, კერძოდ,

- ✓ ქ. თბილისში, გიორგი მიროტაძის ქ. N15ბ-ში მდებარე **141 კვ.მ.** მიწის ნაკვეთი;
- ✓ ქ. თბილისში, გიორგი მიროტაძის ქ. N15დ-ში მდებარე **77 კვ.მ.** მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობები;
- ✓ ქ. თბილისში, მიროტაძის ქ. N3-ის მომიჯნავედ მდებარე **41 კვ.მ.** მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობები.

როგორც **მომხსენებელმა** აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ქალაქ თბილისისმერიას, განცხადებებით მიმართეს ქალაქ თბილისში, მიროტაძის ქუჩის მაცხოვრებლებმა და ითხოვეს აღნიშნულ ქუჩაზე მდებარე, მათ თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების გაცვლა მიმდებარედ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებში, სსიპ - ქალაქთბილისისმუნიციპალიტეტისარქიტექტურის სამსახურის შესაბამისი ბრძანების თანახმად, ტერიტორიაზე შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შესაბამისად,მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით.

ბატონმა თავართქილაძემ ისაუბრა სსიპ - ლევანსამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, მიწის ნაკვეთების შეფასების შედეგად მიღებულ დასკვნებთნ დაკავშირებით, რის მიხედვითაც:

1. განმცხადებელთა საკუთრებაში არსებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, საცხოვრებელ ზონა 6-ში (სზ-6) მდებარე უძრავი ნივთები 2021 წლის 2 თებერვლის მდგომარეობით:

- 141 კვ.მ. ს/კ: N01.10.13.033.929 უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება, საორიენტაციოდგანისაზღვრა 139 731 ლარის ოდენობით.
- 77 კვ.მ. ს/კ: N01.10.13.033.915 უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება, საორიენტაციოდგანისაზღვრა 76 307 ლარის ოდენობით;
- 41 კვ.მ. ს/კ: N01.10.13.033.933უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება, საორიენტაციოდგანისაზღვრა 40 631 ლარის ოდენობით.
- უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებებმა ჯამში შეადგინა 256 669 ლარი.

2. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 01.10.13.033.928 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 136 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (მცირე ნაწილზე: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), ხოლო, 01.10.13.033.937 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 129 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), მცირე ნაწილზე - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ხოლო,

ექსპერტიზისდასკვნით, 2021 წლის 2 თებერვლის მდგომარეობით, მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებებმა ჯამში შეადგინა 217 735 ლარი.

მომხსენებლის მითითებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის პოზიციით, 01.10.13.033.928 საკადასტროერთეულისადამიმდებარე 128 კვ.მმიწისნაკვეთისსაკადასტროსაზღვრებინაწილობრივემთხვევადამტკიცებულიგანაშენიანებისრეგულირებისგეგმითგათვალისწინებულიშენობისგანთავსებისკონტურს, ამასთან, გენგეგმით მოქალაქეთა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო ერთეულების საზოგადოებრივი დანიშნულებით განვითარება.

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მისაღებად მიიჩნია, წარმოდგენილი საექსპერტო შეფასებები, აგრეთვე, განმცხადებელთა თხოვნის დაკმაყოფილება, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გაცვლის ფორმით პრივატიზების ღონისძიება, შესაძლებლობას იძლევა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღებული მიწის ნაკვეთები გამოყენებულ იქნას საზოგადოებრივი დანიშნულებით, აღნიშნულის გათვალისწინებით, **ქალაქ თბილისის მთავრობამ გადაწყვიტა,**მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების მოქალაქეთა საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებშიგაცვლის ფორმით **საპრივატიზებო საფასურის გარეშე,** პრივატიზების საკითხის, ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილი იქნება N01.10.13.033.915 და N01.10.13.033.933 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ საკადასტრო ერთეულებზე განთავსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი და აღნიშნული საკადასტრო ერთეულების მოსწორებულ/გასუფთავებულ მდგომარეობაში მოყვანა.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების მითითება, პროექტის სათაურში გაცვლას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთების მისამართებისა და ოდენობების კონკრეტული სახით მითითება და სათაურის პროექტის პირველ და მე-2 პუნქტებთან ერთად სტილისტური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების** გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. მომხსენებელმა კომისიის დამსწრე წევრებს ასევე წარუდგინა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზების პროექტები, მათ შორის,დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მე-7** საკითხთან დაკავშირებით, განმარტა, რომ გლდანის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ.თბილისში, მეგობრობის ქუჩა №2-ში, პირველ სართულზე მდებარე **47.31 კვ.მ.** ფართი, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაეცემა **მოქალაქე ინდირა ტაბაღუას,** რომელიც **2010 წლიდან** ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის X განყოფილების წერილზე დანართის სახით წარმოდგენილი ბინაზე გამოცხადების შესახებ ოქმებითა და შესაბამისი მოქალაქეების სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებებით.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის რედაქტირება, პროექტის პირველ პუნქტში ქალაქ თბილისის მთავრობის განკარგულების სწორი ფორმით აღნიშვნა, უძრავი ქონების საპრიცატიზებო საფასურის მითითება, ტექნიკური ხარვეზის გასწორება და პროექტის მე-2 პუნქტის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მე-8** საკითხზე საუბრისას, **ირაკლი თავართქილაძემ** აღნიშნა, რომ სამგორის რაიონის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გუმათჰესის ქუჩა კორპუს №12-ში, პირველ სართულზე მდებარე **46.36 კვ.მ.** ფართი, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაეცემა **მოქალაქე მაია გოგუას,** რომელიც, **2004 წლიდან** სარგებლობს აღნიშნული ფართით, რაც დასტურდება, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის VII განყოფილების წერილზე დანართის სახით წარმოდგენილი ბინაზე გამოცხადების შესახებ ოქმით, გამგეობის ქვემო სამგორის საუბნო განყოფილების შემოწმების აქტითა და შესაბამისი მოქალაქეების სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებებით.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის რედაქტირება, პროექტის პირველ პუნქტში ქალაქ თბილისის მთავრობის განკარგულების სწორი ფორმით აღნიშვნა, უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება, ტექნიკური ხარვეზის გასწორება და პროექტის მე-2 პუნქტის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ირაკლი თავართქილაძის თქმით, მე-9 **საკითხად** წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, აკაკი ხორავას ქუჩა N13-17/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N5-ში, 1-2 სართულზე მდებარე **106.70 კვ.მ** ბინა N3-ის **მოქალაქე ნელი მაზმიშვილისთვის**პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაცემას.

საკითხის წარმომდგენის თქმით, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირის მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერებით დასტურდება, რომ ნელი მაზმიშვილი **1990 წლიდან** დღემდე ნამდვილად ცხოვრობს დაინტერესებაში არსებულ ფართში, ამასთან, ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს წერილზე თანდართული ოქმით დასტურდება, რომ აღნიშნული მოქალაქე ოჯახთან ერთად დაახლოებით 29 წელია ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ დედაქალაქის მერიაში წარდგენილია, მთაწმინდის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის წერილი, არადევნილის სტატუსის მქონე ზოგიერთი პირისთვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, აღნიშნული მოქალაქეების სარგებლობაში არსებული იზოლირებული ფართების, **სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად** გადაცემასთან დაკავშირებით.

დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ნელი მაზმიშვილის სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის რედაქტირება, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება და აღნიშნული პუნქტის პროექტის მე-2 პუნქტთან ერთად სტილისტური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად **დაუჭირეს** მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნებისგათვალისწინებით**, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. მე-10 საკითხად წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, დიდუბის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე მდებარე **38 კვ.მ და 53.83 კვ.მ** მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, მოქალაქეების: ემზარ ჯარიაშვილის, ეთერ ოჩიაურისთვის და თინათინ ნახუცრიშვილისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების ფორმით საკუთრებაში გადაცემას.

საკითხის წარმომდგენის თქმით, ემზარ ჯარიაშვილი გახლავთ ეთერ ოჩიაურის მამა, მათი მოთხოვნის საფუძველზე 38 კვ.მ უძრავი ქონების პრივატიზაცია ხდება როგორც ემზარ ჯარიაშვილის, ისე ეთერ ოჩიაურის სახელზეც. მისივე თქმით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობებით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „თევდორე მღვდლის 13" კრების ოქმითა და ქონების გადაცემით დაინტერესებული პირების მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით დგინდება, რომ ემზარ ჯარიაშვილი, ეთერ ოჩიაურთან და ოჯახთან ერთად **2012 წლიდან** ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

რაც შეეხება, მოქალაქე თინათინ ნახუცრიშვილის, **ირაკლი თავართქილაძის** თქმით, ნოტარიულად დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „თევდორე მღვდლის 13" კრების ოქმით და მოწმეების ჩვენებით დგინდება რომ თინათინ ნახუცრიშვილი ოჯახთან ერთად 2012 წლიდან ცხოვრობს ქ. თბილისში, რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე მდებარე **53.83 კვ.მ**ფართში. ამასთან, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერის მიხედვით, თინათინ ნახუცრიშვილისა და მისი ოჯახის მუდმივ საცხოვრებლად ფიქსირდება აღნიშნული მისამართი.

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ქონების გადაცემით გაინტერესებულ პირებზე და მათი ოჯახის წევრების სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის რედაქტირება, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება და აღნიშნული პუნქტის პროექტის მე-2 პუნქტთან ერთად ტექნიკური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მე-11** საკითხთან დაკავშირებით, **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ მთაწმინდის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის შესაბამისად, წარმოდგენილია, ქ.თბილისში,სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა, N22-ში,პირველ სართულზე მდებარე 100.49 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.060.01.500) უძრავი ქონების მოქალაქე **მერი ჩხენკელისთვის,** რომელიც 22 წელია ფლობს და სარგებლობს აღნიშნულ უძრავ ქონებას პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზება.**

მომხსენებლის მითითებით, დინტერესებული პირის მიერ უძრავ ქონებაში **1995 წლიდან ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,** მთაწმინდის რაიონის გამგეობის შესაბამისი საუბნო სამსახურის გადამოწმების ოქმი, ასევე, მეზობლები სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით ადასტურებენ 1998 წლიდან ცხოვრების ფაქტს, შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს ცნობით, დაინტერესებული პირი ცხოვრობს დაახლოებით 25 წელია.

ირაკლი თავართქილაძემ ასევე **აღნიშნა,** რომმოქალაქე მერი ჩხენკელს ყოფილი N648 კოოპერატივის სასარგებლოდ სრულად აქვს შეტანილი (დაფარული) ასაშენებელი კოოპერატიული ბინის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების თანხა - 18 000 (თვრამეტი ათასი) მანეთის ოდენობით, ამასთან, აღნიშნული პირი, უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ უარს აცხადებს მის მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის რედაქტირება, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება და აღნიშნული პუნქტის პროექტის მე-2 პუნქტთან ერთად ტექნიკური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული**

შენიშვნებისგათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა განაგრძო თხრობა და განმარტა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-12 საკითხად წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესაბამისად ხორციელდება, ქ. თბილისში, უშანგი სოფრომაძის I შესახვევი, N5-ში მდებარე **59.30 კვ. მ** და **68.50 კვ. მ** ფართობის უძრავი ქონების მოქალაქე **გიორგი გულიაშვილისა და ინგა ჯაბიშვილისათვის** პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზებით საკუთრებაში გადაცემა.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, სსიპ-ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია, ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს წერილი, რომლითაც დასტურდება, რომ აღნიშნული მოქალაქეები ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე. ამასთან, წარდგენილია, დაინტერესებული პირების მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებები, რომლითაც ისინი ადასტურებენ გიორგი გულიაშვილისა და ინგა ჯაბიშვილის **2007 წლიდან დღემდე** აღნიშნულ მისამართზე ცხოვრების ფაქტს.

ბატონმა ირაკლიმ იქვე დასძინა, რომ სააგენტოში ასევე წარდგენილია ისნის რაიონის გამგებელის წერილობითი შუამდგომლობა დედაქალაქის მერის მიმართ, მოქალაქე გიორგი გულიაშვილისთვის **59.30 კვ.მ**, ხოლო მოქალაქე ინგა ჯაბიშვილისათვის **68.50 კვ. მ** ფართობის უძრავი ქონების **სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად** გადაცემასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ ქონების გადაცემით დაინტერესებული პირების მიერ, ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია ნოტარიული წესით დამოწმებული განცხადებები, რომლითაც დასტურდება, რომ გიორგი გულიაშვილს, ინგა ჯაბიშვილსა და მათი ოჯახის წევრებს, აღნიშნული ქონების მათ სახელზე პრივატიზაციის/რეგისტრაციის შემთხვევაში, არ ექნებათ პრეტენზია და მოთხოვნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

დასასრულს, ბატონმა თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირებზე და მათი ოჯახის წევრების სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის რედაქტირება, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება და აღნიშნული პუნქტის პროექტის მე-2 პუნქტთან ერთად ტექნიკური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ირაკლი თავართქილაძემ გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებსასევე გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-13 საკითხი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესაბამისად, მთაწმინდის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ.თბილისში,სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა, N22-ში, პირველ სართულზე, ბინა N1-შიმდებარე **71.78 კვ.მ** უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1(ერთი) ლარად,** მოქალაქე **ლილი მამულაშვილს** გადაეცემა, რომელიც **1993** წლიდან ოჯახთან ერთად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს პოლიციის მე-6 განყოფილების წერილითა და შესაბამისი მოქალაქეების ნოტარიული წესით დამოწმებული აქტებით.

ბატონმა თავართქილაძემ იქვე დასძინა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ლილი **მამულაშვილზე** და მისი ოჯახის წევრების სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის რედაქტირება, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება და თბილისის მთავრობის განკარგულები მითითების ნაწილში ტექნიკურაად გასწორება, ხოლო, პროექტის მე-2 პუნქტის სტილისტურად გამართვა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. საკითხის მომხსენებელმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მე-14 საკითხზე** ისაუბრა და აღნიშნა, რომ მთაწმინდის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ.თბილისში,სოფელ ოქროყანაში, ქუჩა მირზა გელოვანი, ჩიხი V, N3-ში, ბინა N1-შიმდებარე **79.09 კვ.მ**უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1(ერთი) ლარად,**

მოქალაქე **ლერი სვანიშვილს** გადაეცემა, რომელიც **1995 წლიდან**, ოჯახთან ერთად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე. აღნიშნული დასტურდება შესაბამისი მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული აქტებით.

საკითხის მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს პოლიციის მე-6 განყოფილების წერილის მიხედვით, **ლერი სვანიშვილი 1991-1992 წლიდან**, ოჯახთან ერთად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე.

დასასრულს, **ბატონმა** ირაკლიმ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული მონაცემების მიხედვით, **ლერი სვანიშვილზე** და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, **რეგისტრირებული** არ არის.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის რედაქტირება, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება და თბილისის მთავრობის განკარგულები მითითების ნაწილში ტექნიკურად გასწორება, ხოლო, პროექტის მე-2 პუნქტის სტილისტურად გამართვა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული **შენიშვნების გათვალისწინებით**, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. მომხსენებელმა მე-15 **საკითხზე** საუბრისას აღნიშნა, რომ სამგორის რაიონის გამგეობის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, რქაწითელის ქუჩა N12-ში, პირველ სართულზე მდებარე 51.62 კვ.მ უძრავი პირდაპირიგანკარგვისფორმით, პრივატიზების გზით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** მოქალაქეწაილი **ცინდელიანს** გადაეცემა, რომელიც, **15-17 წელიაცხოვრობს** აღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება შესაბამისი მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული აქტებითა და ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის V განყოფილებისწერილით.

დასასრულს, ბატონმა თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ნაილი ცინდელიანის და მის ოჯახის წევრების სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, **რეგისტრირებული** არ არის.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის რედაქტირება, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება და თბილისის მთავრობის განკარგულები მითითების ნაწილში ტექნიკურაად გასწორება, ხოლო, პროექტის მე-2 პუნქტის სტილისტურად გამართვა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნებისგათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-16 საკითხთან მიმართებაში, **ირაკლი თავართქილაძემ** აღნიშნა, რომ დიდუბის რაიონის გამგებლის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში,რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაეცემათ,** ქალაქთბილისისმუნიციპალიტეტისმთავრობის№21.261.316განკარგულების **დანართი #1-ითგათვალისწინებულ** არადევნილის სტატუსის მქონე, სოციალურად დაუცველ პირებს **(ჯამში 12 (თორმეტი) პირი),** აღნიშნული განკარგულების დანართი N2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

მომხსენებლის თქმით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა **„თევდორე მღვდლის 13"-ის კრების** ოქმებით დგინდება, რომ ზემოაღნიშნული მოქალაქეები **2012 წლიდან დღემდე** ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე და ფლობენ უძრავ ქონებას. ამასთან, დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს პოლიციის IV განყოფილების წერილის თანახმად დასტურდება, რომ ზემოაღნიშნული პირები ნამდვილად ცხოვრობენ ქ. თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩა #13-ში.

ბატონმა ირაკლიმ იქვე დასძინა, რომ დიდუბის რაიონის გამგეობის პროექტებისა და პროგრამების კოორდინაციისა და მართვის საბჭოს გადაწყვეტილებით, თევდორე მღვდლის #13-ში მცხოვრებ 56 სოციალურად დაუცველ ოჯახს, გაეწია შუამდგომლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსთან, მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების დაკანონებასთან დაკავშირებით. ამასთან, მისივე თქმით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი წერილის თანახმად, სამინისტრო არ არის წინააღმდეგი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში თევდორე მღვდლის ქ. #13-ში მდებარე უძრავი ქონება.

დასასრულს, **ბატონმა ირაკლიმ** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირებზესაკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა მიზანშეწონილად **მიიჩნია**, პროექტის სათაურის რედაქტირება, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება და ტექნიკურაად გასწორება, ხოლო, პროექტის მე-2 პუნქტის სტილისტურად გამართვულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. რაც შეეხება დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მე-17** საკითხს, **მომხსენებელმა** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს ამცნო, რომ ნაძალადევის რაიონის გამგეობის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, საყვირის ქუჩა N2-ში, პირველ სართულზე მდებარე **48.84** კვ.მ**უძრავი** ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი),** ლარად მოქალაქე **ნონა კოზანაშვილს** გადაეცემა, რომელიც **2011-2014** წლიდან ოჯახთან ერთად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, რაც **დასტურდება,** შსს-ს წერილზე თანდართული ოქმით, ნაძალადევის რაიონის საუბნო განყოფილების შემოწმების ოქმითა დაშესაბამისის მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული აქტებით.

დასასრულს, **ირაკლი** თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ნონა კოზანაშვილზე და მისი ოჯახის წევრების სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა მიზანშეწონილად **მიიჩნია**, პროექტის სათაურის რედაქტირება, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება და თბილისის მთავრობის განკარგულების მითითების ნაწილში ტექნიკურაად გასწორება, ხოლო, პროექტის მე-2 პუნქტის სტილისტურად გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით**, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. ირაკლი თავართქილაძემ ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მე-18** საკითხზე და აღნიშნა, რომ ისნის რაიონის გამგებლის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ.თბილისში, საინგილოს ქუჩა N120-ში მდებარე უძრავი ქონება (ჯამში **256.94 კვ.მ)**, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად**, საკუთრებაში გადაეცემათ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის N21.262.315 განკარგულების **დანართი #1-ით** გათვალისწინებულ სამ პირს, რომლებიც **2002-2004 წლებიდან** დღემდე ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირების მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული აქტებითა და ისანი-სამგორის სამმართველოს წერილით.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ ქონების გადაცემით დაინტერესებული პირები არიან ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები და ოჯახებთან ერთად ცხოვრობენ ყოფილი სამხედრო მოსამსახურეთა შენობაში. ამასთან, ბატონი ირაკლის თქმით, სააგენტოში წარდგენილია ზემოაღნიშნული პირების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, რომლის მიხედვით, საინგილოს ქუჩა N120-შიმდებარე ფართების მათთვის პრივატიზების შემთხვევაში, არ ექნებათ პრეტენზია და მოთხოვნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

დასასრულს, **ბატონმა ირაკლიმ** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირებზესაკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, ასევე მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური **„სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად“**, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი მთავრობის განკარგულების თარიღის მითითების ნაწილში და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით. ამასთან, განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი გასწორდეს და ასევე ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. რაც შეეხება დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-19 საკითხს, **ირაკლი თავართქილაძემ** განმარტა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 თებერვლის **N57** განკარგულებით, ქალაქ თბილისის მთავრობას მიეცა თანხმობა, ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული **შპს „ჰორვატსისათვის"** პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად პრივატიზების საკითხზე.

მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ აღნიშნული უძრავი ქონების გადაცემა განხორციელდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 3 თებერვლის **N21.93.107** განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრულ 159 (ასორმოცდაცხრამეტი) **პირზე**, მათი მხრიდან სახელმწიფო საშინაო ვალზე უარის თქმის სანაცვლოდ, განკარგულების დანართი N2-ით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ ვინაიდან განკარგულების დანართით განსაზღვრული ერთ-ერთი პირის - **ზურაბ კაცაძის** ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა და მისი მხრიდან შეუძლებელი გახდა შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერა, პროცესის გაჭიანურების თავიდან არიდების მიზნით, ქ. თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, მთავრობის განკარგულების დანართი **N1–სა და დანართ N2–ში** განხორციელდეს ცვლილება და ზურაბ კაცაძის მიერ მისაღები წილი მიწის ნაკვეთიდან - **123.522 კვ. მ.** გადაეცეს ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ კომპანიას - **შპს „ჰორვატსს"** ხოლო 78.64 კვ. მ. ფართი თეთრი კარკასის მდგომარეობით - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შემდგომში ზურაბ კაცაძისთვის ან მისი უფლებამონაცვლე პირისთვის/პირებისთვის გადაცემის უზრუნველყოფის პირობით.

მომხსენებლის თქმით, თბილისი მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულების გამოცემის დროისთვის, N645 კოოპერატივის 5 წევრის (მანანა ბერიაშვილის, თენგიზ ბლიაძის, ნუგზარ ბულიას, ტოგო ბერიზაშვილის და ალექსანდრე ქართველიშვილის) მიერ, სააგენტოში არ იყო წარმოდგენილი სრულყოფილი დოკუმენტაცია, იმისათვის, რომ ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული პროექტი არ დაყოვნებულიყო, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული კომპანიის მიერ მითითებული ფართის სააგენტოსათვის გადაცემა. აღნიშნული პირების მხრიდან სააგენტოში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში კი მათთვის

შესაბამის საცხოვრებელ ფართზე საკუთრების უფლების გადაცემას უზრუნველყოფდა სააგენტო.

ბატონმა ირაკლიმ იქვე დასძინა, რომ ალექსანდრე ქართველიშვილისა და მანანა ბერიაშვილის უფლებამონაცვლე პირებმა სრულყოფილი დოკუმენტაცია სააგენტოში წარადგინეს 2021 წლის 25 თებერვალს, შესაბამისად, შესაძლებელია მათთვის ქონების გადაცემა. კერძოდ; სააგენტოს მიერ მიღებული ფართიდან **გიორგი ქართველიშვილმა,** როგორც ალექსანდრე ქართველიშვილის მემკვიდრემ უნდა მიიღოს ბინა თეთრი კარკასის მდგომაროებით - **125.46 კვ.მ** – მიწის ფართი –**197.063;** ხოლო **ნათელა ღუბიანურმა** როგორც მანანა ბერიაშვილის მემკვიდრის, მარიამ ბერიაშვილის მოთხოვნის ახალმა კრედიტორმა ბინა თეთრი კარკასის მდგომაროებით - **75.05 კვ.მ.** – მიწის კვადრატულობა –**117.883 ოდენობით.**

დასასრულს, **ირაკლი თავართქილაძემ** აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, ცვლილება ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულის 2021 წლის 16 თებერვლის N57–ე განკარგულებაში და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 3 თებერვლის N21.93.107 განკარგულების დანართი N1 და დანართი N2 ყალიბდება 2021 წლის 17 მარტის N21.322.362 განკარგულების დანართების შესაბამისად. ამასთან, განისაზღვრება მთავრობის აღნიშნული განკარგულების მე–3 პუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება, რითაც, ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ საკითხის შეთანხმების შემთხვევაში, მის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან, ნაცვლად – არაუგვიანეს 45 დღისა, განისაზღვრა არაუგვიანეს – 80 (ოთხმოცი) დღის ვადა, ქონების მართვის სააგენტოს მიერ, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულების გაფორმების საკითხზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა **მე-20** საკითხად წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე საუბრისას აღნიშნა რომ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 15 ოქტომბრის **N19.1087.1388** და საკრებულოს 2019 წლის 8 ნოემბრის **N375** განკარგულებების საფუძველზე, ააიპ „იას" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, **2 (ორი) წლის ვადით** გადაეცა, ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრო/რაიონში მდებარე **181.13 კვ.მ.** ფართი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის პროფესიული სწავლებისთვის და დასაქმებისთვის სახელოსნოების განთავსების მიზნით. უზუფრუქტით გადაცემულ ქონებაში

სრულყოფილად სწავლებისთვის შესაბამისი დამაკმაყოფილებელი პირობების შექმნის მიზნით, უზუფრუქტუარმა საკუთარი ხარჯით განახორციელა გარკვეული სარემონტო სამუშაოები. დარჩენილი მნიშვნელოვანი სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად კი დონორმა ორგანიზაციამ მოითხოვა სარეკომენდაციო/საგარანტო წერილი, უზუფრუქტის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

ირაკლი თავართქილაძის თქმით, ყოველივე ზემოადნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან უზუფრუქტის ვადა სრულდება 2021 წლის 28 ნოემბერს, უზუფრუქტუარი ითხოვს ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას მინიმუმ 5 (ხუთი) წლით, სანაცვლოდ კი 2022 წლის 31 მარტამდე 15,000 (თხუთმეტი ათასი) ევროს ექვივალენტი ლარში ოდენობით ინვესტიციის განხორციელებას სარემონტო სამუშაოებზე.

დასასრულს საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ცვლილება ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 8 ნოემბრის N375 განკარგულებაში და უზუფრუქტუარის მიერ შემოთავაზებული ინვესტიციის განხორციელების პირობით, უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა გრძელდება 2024 წლის 28 ნოემბრამდე, ასევე, უსასყიდლო უზუფრუქტის პირობებს ემატება უზუფრუქტუარის მიერ შესასრულებელი საინვესტიციო ვალდებულება - არაუგვიანეს 2022 წლის 31 მარტისა არანაკლებ 15,000 (თხუთმეტი ათასი) ევროს ექვივალენტი ლარში ინვესტიციის განხორციელება უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემულ უძრავ ქონებაზე და ამ ინვესტიციის ფარგლებში, აღნიშნულ ვადაში სარემონტო სამუშაოების ჩატარება.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა მიზანშეწონილად მიიჩნია,ცვლილება შევიდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 8 ნოემბრის N375 განკარგულების სამართლებრივ საფუძვლებში და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122[1] **მუხლის მე-8 პუნქტის ნაცვლად მიეთითოს ამავე მუხლის მე-9 პუნქტი,**ამასთან, ამავე განკარგულების სამართლებრივ საფუძვლებში “ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებულის **წესის მე-2 მუხლის მე-12 პუნქტის ნაცვლად, უნდა მიეთითოს ამავე** მუხლის მე-13 პუნქტი.

კომისიის თავმჯდომარემ დასძინა, რომ მიზანშეწონილია, პროექტის სამართლებრივ საფუძლებში მითითებულ იქნას „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრორაიონში (ს/კ: N01.11.12.002.061.01.502) მდებარე 181.13 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია“-სთვის (ს/კ 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 15 ოქტომბრის N19.1087.1388

განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 17 მარტის N21.312.364 განკარგულება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად **დაუჭირეს** მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, წარმოადგინა **21-ე** საკითხი და კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს შეახსენა, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის **N59** დადგენილების საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელი მშენებლობების მიმართ გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული ხელშემწყობი ღონისძიებები. აღნიშნულიდან **გამომდინარე, მისამართზე - ქ. თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N33/პავლე ასლანიდის ქ. N40** (ყოფილი ქუჩა აკური, N 33 , ქუჩა ალმასიანი N40, N42, N44, N46. (ნაკვეთი N35/31) (საკადასტრო კოდი: N01.10.13.035.053) **არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის დაინტერესებულ პირს - შუქრი კაკაურიძეს, განესაზღვრა შემდეგი მხარდამჭერი ღონისძიებები:**

ა) მისამართზე - ქ. თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, II მ/რ, I კვარტალი, **კორპუსი N7-ის მიმდებარედ (ს/კ N01.14.01.007.350) არსებულ მიწის ნაკვეთს შეეცვალოს სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)-ით;**

ბ) აღნიშნულ მისამართზე შეთანხმდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, **განაშენიანების** რეგულირების გეგმა, **არქიტექტურული** პროექტი **და გაიცეს მშენებლობის ნებართვა, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის** **კოეფიციენტის** გადამეტებით - კ-2 - **5.5.**

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, ვინაიდან აღნიშნულ მისამართზე მიღებული - მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ათვისება ვერ ხორციელდება, **დაინტერესებული** პირის მიერ მოთხოვნილია, **დამატებითი მხარდამჭერი ღონისძიებები,** **კერძოდ,** წარმოდგენილი პროექტით, **შუქრი** კაკაურიძეს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, მისამართზე - ქ. თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N33/პავლე ასლანიდის ქ. N40 (ყოფილი ქუჩა აკური, N 33, ქუჩა ალმასიანი N40, N42, N44, N46. (ნაკვეთი N35/31) (საკადასტრო კოდი: N01.10.13.035.053) **არსებული** დაუმთავრებელი **მშენებლობის** დასრულების მიზნით, **მისამართზე** - ქ. **თბილისი,** ფერდობი ნუცუბიძე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ **არსებულ** სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში(ს/კ N01.14.01.007.350) **განესაზღვროს**

შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითიხელშემწყობი ღონისძიება - შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა სიმაღლის განმსაზღვრელი სქემისა და მიჯნის ზონის დაუცველად.

აზრი გამოთქვეს:

თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პრეამბულასა და სათაურში სწორი ფორმით მიეთითოს ქალაქ თბილისის მთავრობის 2021 წლის 17 მარტის N21.324.368 განკარგულების სათაური და განკარგულების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით, ამასთან, სტილისტურად გაიმართოს პროექტის პირველი პუნქტი, ხოლო, ტექნიკურად – პროექტის მე–2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტმა – **მარიამ ჩივაძემ,** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილების პირველი მუხლის „ე" ქვეპუნქტით, დანართი N5-ის სახით დამტკიცებულ **„ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესში"** და წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტში მედიკამენტების **„პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი"** (დოზა - 420 მგ/14მლ (30მგ/მლ) 14 მლ კონცენტრატი ი.ვ. საინფუზიო ხსნარის მოსამზადებლად ფლაკონი№1) კომბინაციის შემთხვევაში, 1 ფლაკონი „პერტუზუმაბისა" და **მოსარგებლის საჭიროებიდან** გამომდინარე „ტრასტუზუმაბის", „ფესგოს"**შესაბამისი რაოდენობის ფლაკონების** ქვეპროგრამის ფარგლებში, ნაცვლად 4995 ლარის ტარიფისა, ხდება **არაუმეტეს 4695 ლარის ტარიფით** მიწოდება, **შესაბამისად,** წესი"-ს მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„დ) ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მედიკამენტების „პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი“ (დოზა - 420 მგ/14მლ (30მგ/მლ) 14 მლ კონცენტრატი ი.ვ. საინფუზიო ხსნარის მოსამზადებლად ფლაკონი№1) კომბინაციის შემთხვევაში, 1 ფლაკონი „პერტუზუმაბისა“ და მოსარგებლის საჭიროებიდან გამომდინარე „ტრასტუზუმაბის“, „ფესგოს“(დოზა - (600მგ+600მგ+20,000ერთეული)/10მლ 10 კანქვეშ შესაყვანი საინექციო ხსნარი ფლაკონი №1 ან (1200მგ+600მგ+30,000ერთეული)/15მლ 15 კანქვეშ შესაყვანი საინექციო ხსნარი ფლაკონი №1) შესაბამისი რაოდენობის ფლაკონების ქვეპროგრამის ფარგლებში არაუმეტეს 4695 ლარის ტარიფით მიწოდება;“.

დასასრულს, **მარიამ ჩივაძემ** აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას დედაქალაქის ბიუჯეტიდან. ამასთან, მისი მიღება არ მოახდენს გავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ლევან ჟორჟოლიანი**

სხდომის მდივანი **ნინო ჯალაღანია**